

ალექსანდრე
ახატუნელი

ეოსცა ხეთაგურიძა

2019 წ. 15 ოქტომბერს უსწავლდება 160 წ.
გაბაყებიძან

თბილისი
2019

ხედაქთი:

ყოზ ბედოიძე



ნიგნი ანუო დო დოქოდონდო

<http://bedoidze.site.ge>



©ალექსანდრე ახატნელი



კოსტა

ვისაც იუმორი არ ესმის, ის სულიერად ღატაკია – უთქვამს ანტონ ჩეხოვს. მართლაც, იუმორია ნერვული სისტემის მკურნალი. ამიტომაც აუცილებელი მძიმე საკითხებსაც კი იუმორით მიუდგეს ადამიანი. რაც მეტია იუმორი, მით ნაკლებია უარყოფითი განცდები.

ნათქვამი სრულად მიესადაგება კოსტა ხეთაგუროვის პიროვნებას, მის მძიმე ცხოვრებას და ფიქრიან შემოქმედებას. პირველ რიგში პიროვნებას და მისადმი ზოგიერთი მეკალმის დამოკიდებულებას.

გვარის საკითხია იუმორით განსახილველი. ხეთაგური, ხეთაგუროვი თუ ხეთაგათი?

ელიზბარ ხეთაგურის ვაჟი ლევანი, რუსულ ჯარში სამსახურის დროს რომ ხეთაგუროვად ეწერებოდა, გასაგებია – რუსებმა თავის ყაიდაზე გადაუკეთეს გვარი. ამიტომ ირიცხებოდა იგი ლევან ელიზბაროვიჩ ხეთაგუროვად და არა ხეთაგურად, როგორც მამა-პაპა.

პრაპორშიკი ხეთაგუროვი მოგვარე-ნათესავეებს შორის დიდ ავტორიტეტად ითვლებოდა.

ლევანის ვაჟი კონსტანტინე, მოფერებით კოსტა, ბუნებრივია, ხეთაგუროვად მოეწვინა ქვეყნიერებას. ასე იცხოვრა და უკვე საუკუნეზე მეტია, ასე დარჩა მისი გვარი მომდევნო თაობებს.

ძალზე დიდი ხნის მანძილზე მრავალეროვანი საზოგადოება მას იცნობდა, როგორც კოსტა ხეთაგუროვს. იწერებოდა წიგნე-





ბი, სტატიები, რადიო-ტელევიზია ასე გადასცემდა მის შესახებ.

ბოლო პერიოდში არის მცდელობა, ხეთაგუროვი შეცვალონ ხეთაგათით. ალბათ, ფიქრობენ, რომ ასე უფრო გამორჩეული იქნება ცნობილი წინაპრის ოსობა. თუ უკვირდებიან, რომ გვარის დაბოლოება „თი“, საერთო იბერიულ-კავკასიური გვარებისთვისაა დამახასიათებელი. ქართულში, თუ დავსვამთ შეკითხვას: ვისით? რით? რათი? – მოითხოვს პასუხს – იმათი, ამათი. აქედან იწარმოება გვარებიც: ხეთაგათი, გაგლოთი, კოკოთი და ასე მრავალი...*

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყოფილან და არიან პიროვნებები, რომელთაც გრძელი დახასიათება არ სჭირდებათ. ვის მოუვა აზრად სხვა ვინმე იგულისხმონ, როცა ითქმის პუშკინი, შექსპირი, გოეთე, დიუმა და უამრავი სხვა, გარდა იმ პიროვნებებისა, რომელთა შემოქმედება, საერთოდ, ადამიანთა საკუთრება გამხდარა. ილია, აკაკი ასევეა ქართველებისათვის. ცხოვრებაში ჭავჭავაძეც ბევრი ყოფილა და წერეთელიც, ილიაც და აკაკიც, მაგრამ როცა მსჯელობაა ილია და აკაკი, სხვა შემოქმედის წარმოდგენა გამორიცხულია.

ოსი ეთნოსისათვის ასეთი განუმეორებელია კოსტა. ოსებში შეიძლება ბევრი იყოს კოსტა, ასევე ხეთაგუროვი, მაგრამ ძნელად ვინმეს მოუვა აზრად სხვა იგულისხმონ, გარდა დაუვინყარი შემოქმედისა.

ჭეშმარიტად შეუფასებელია მისი დანატოვარი, როცა გაითვალისწინებენ რა პირობებში ცხოვრობდა და ქმნიდა ყოველივეს.

მთავარი სათქმელი პიროვნებას ეხება.

ბუნებასა და საზოგადოებაში მოქმედებს მუდმივი ცვლილებების კანონი. ყველაფერი არსებული ემორჩილება მას. ამავე დროს არის ბევრი რამ, რაც ადამიანებს უცვლელად მიაჩნიათ. მათ შორისაა საყოველთაოდ აღიარებული პიროვნებების გვარსახელი.

* გვართა წარმოქმნისა და გარდაქმნების პრობლემა სტატიის მიზანს სცილდება და იუმორით ნათქვამს სერიოზულობის სიმძიმეს მატებს.



ვთქვათ ჰომეროსი სამი ათასი წელია ჰომეროსია. ასევეა მრავალი სხვა შემოქმედი, მითოლოგიური თუ რეალურად არსებული პიროვნება. წარმოსადგენია, როგორ მიიღებს საზოგადოება მათ სახელი, გვარი, ზედსახელი, ფსევდონიმი რომ ვინმემ შეუცვალოს. ვთქვათ, ალექსანდრე მაკედონელს ალექსი ან სანდრო რომ უწოდონ და ა. შ. ასეთ მკრეხელს ქმედება იუმორადაც არ ჩაეთვლება, ისაც იმ შემთხვევაში, თუ მიხვდებიან, საერთოდ, ვისზეა ლაპარაკი. ყოველ დიდ პიროვნებას აქვს მყარად დამკვიდრებული სახელი და მას ცუდად არავინ უნდა შეეხოს.

ოსი ეთნოსისათვის და, საერთოდ, მისი შემოქმედებით დაინტერესებული ადამიანისათვის, ასევე ხელშეუხებელია კოსტა ხეთაგუროვი. ასე იცნობდნენ და ასე სწერდნენ მასზე ოსი, რუსი, ქართველი თუ ნებისმიერი ეროვნების წარმომადგენლები.

იყო ასეთი გამოჩენილი. ერთი რუსულენოვანი წყარო წერდა არა „კოსტა ხეთაგუროვი“, არამედ კონსტანტინე ლევანის ძე ხეთაგუროვი. რატომ? ეს ავტორს მოეკითხება. ისე, ლოგიკურად გასაგებია. კოსტა რომ კონსტანტინეს შეკვეცილი, მოსაფერებელი ფორმაა, გასაგებია და მისაღები. რუსულ გამოცემაში არც მამის სახელით მიმართვაა უცნაურობის შემცველი. „კონსტანტინ ლევანოვი“ – ეწერა იმ წყაროში. და მაინც, თაობები იცვლებოდნენ და კოსტა ხეთაგუროვი იყო ყველასათვის. ასეთად გაიცნეს და დაიმახსოვრეს ადამიანებმა დიდი წინაპარი და შემოქმედი.

საზოგადოებისათვის არც ისაა უცნაურობის შემცველი, როცა ამა თუ იმ პიროვნებას შეცვლილი სახელით ან გვარით დაიმახსოვრებენ. არა საკუთარი გვარ-სახელით, არამედ შეცვლილი. ასეთ დროს მთავარია, როგორ შეაბიჯებს იგი გარშემო მყოფთა თუ კაცობრიობის ცნობიერება – მახსოვრობაში. უფრო მეტი, ბევრი საზოგადო მოღვაწე მხოლოდ შეცვლილი გვარ-სახელითაა (ფსევდონიმიტაა) ცნობილი. საქმე იქამდე მიდის, რომ პიროვნებების ნამდვილი, წარმომადგენლობითი გვარ-სახელი დავიწყებულია. რიგით მოკვდავებთან მიმართებით, ასეთი ცვლილება თითქმის შეუმჩნეველია. ათასობითაა ისეთი პიროვნებანი, რომელთაც უახლოესი გარემოცვაც კი მხოლოდ



შეძენილი (მეორადი) სახელით იცნობდა. ასეთი ცვლილება, დასამახსოვრებელ და თაობათა მანძილზე პატივისცემით გასახსენებელ ადამიანებთან მიმართებაში კი, ზოგჯერ უცნაურობის შემცველიცაა.

ვთქვათ, ქართველებში ყველამ იცის ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, მაგრამ ძალზე ცოტამ მათი ნამდვილი გვარი რაზიკაშვილი და ჩოფიკაშვილი. ასეთთა სახელობით ორმაგობის მატარებელთა ჩამოთვლაც კი ძნელია.

კავკასიელთა შორის თავისი საპატიო მყარი ადგილი კოსტა ხეთაგუროვსაც უკავია. მისი პიროვნებისა თუ შემოქმედების თაყვანისმცემელთა შორის უდაოდ საინტერესო არის იმის ცოდნა, რომ წარმოშობით კონსტანტინე ლევანის ძე ხეთაგუროვია, მაგრამ ამ ინფორმაციამ საქვეყნოდ დამკვიდრებული ვერა და არ უნდა გააუფერულოს, გაამრუდოს. მრავალი ეროვნების, მრავალი თაობისათვის იგი მიღებულია და შეუცვლელი, როგორც კოსტა ხეთაგუროვი.

ამიტომაცაა, რომ ცვალებადობის უზოგადესი კანონის მოქმედების პირობებშიც არის რაღაც გამონაკლისები. მათი მდგრადობა შეიძლება დროშიშეზღუდულია, მაგრამ არსებობს და იგი არ შეეხება ყველას და ყველაფერს. არ შეიძლება იოლად შეიცვალოს ადამიანის შესახებ მტკიცედ დამკვიდრებული, მით უფრო მომავალი თაობებისათვის მემკვიდრეობით მიღებული ინფორმაცია. პიროვნების გვარ-სახელის შეცვლა მის სიცოცხლეში და მისივე ნებაზეა დამოკიდებული.

თქმა, რომ გარდაცვალების შემდეგ არ იბადებიან და არ ინათლებიან, ხუმრობადაც არ ჩაითვლება. ადამიანები უკვდავებას არსებული გვარ-სახელით განაგრძობენ მანამდე, ვიდრე საზოგადოებას აქვს მათ შესახებ მახსოვრობა. ასეა ზოგადად და მათ შორის კოსტა ხეთაგუროვის მიმართებითაც.

აღიარებული ჭეშმარიტების ვრცელი შეხსენების აუცილებლობა დაკავშირებულია ზოგ-ზოგების მცდელობასთან. წაშალონ საზოგადოების მახსოვრობაში მიმართვა – კოსტა ხეთაგუროვი და დაამკვიდრონ კოსტა ხეთაგათი. ცხადია, თუ



ხეთაგუროვის ნაცვლად ვინმე ბრძანებს – ხეთაგათი, ამით დიდი შემოქმედის არც მნიშვნელობა გაიზრდება და არც მისი დანატოვრის ხასიათი. სანაცვლოდ გარკვეული გაურკვეველობა იქმნება. საუკუნეზე მეტი დროის განმავლობაში ყველა, ვინც მის შემოქმედებას ეცნობოდა და იმახსოვრებდა, დარწმუნებული იყო, რომ კოსტა ხეთაგუროვთან ჰქონდა შეხება. ახლა, შემოქმედის შესახებ აზრი უნდა შეცვალონ თუ შეასწორონ. ხეთაგუროვითუ ხეთაგათი? ასეთ დროს წამოიჭრება კითხვა: ეგებ ხეთაგური?

ზოგიერთისათვის შეიძლება არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, როგორ გაიჟღერებს: კოსტა ხეთაგუროვი თუ კოსტა ხეთაგათი. საუკუნის წინ გარდაცვლილი პიროვნება მათ ვერ შეედავება და აღუდგება. არადა, არსებობენ ამდაგვარი „აღმოჩენებით“ დამშვენებული მეკალმეები. ცხადია, ასეთი ცვლილებებით ვერც მისი ეთნოსი ვერ გახდება უკეთესი ან უარესი. მაშ, რა მიზანს ემსახურება მცდელობა – ხეთაგუროვი შეცვალონ ხეთაგათით?

და საერთოდაც, თუ რომელიმე მეკალმეს სურს შემოქმედის გვარ-სახელის დაზუსტება, უმჯობესი ხომ არ იქნებოდა ჯერ შემორჩენილი წერილობითი ინფორმაციის გაცნობა? თუ ადამიანს სიკვდილიდან ასი წლის მერე გვარს უცვლიან, ეგება ჯერ მისი დაბადების შესახებ საეკლესიო ჩანაწერი წაიკითხონ? თუ ასე მოიქცევიან, ნახავენ, რომ კოსტა ხეთაგუროვის დაბადების შესახებ (1859 წლის 15 ოქტომბერი), ინფორმაცია დაფიქსირებულია 1860 წლის 6 იანვარს შედგენილ ჩანაწერში ქართულ ენაზე, სოფელ წარას ქართულ ეკლესიაში. ასეთ „ღრმად მოაზროვნე“ მკვლევარებს არც იმის ახსნა აწყენთ, ჩანაწერი რატომაა ქართულად და ქართულ ეკლესიაში?

და მაინც, რატომ სურთ ზოგიერთებს კოსტა ხეთაგუროვის ნაცვლად კოსტა ხეთაგათის დამკვიდრება გამგებ-წამკითხველი საზოგადოების მეხსიერებაში? რატომ სურთ სულმნათ შემოქმედს, გარდაცვალებიდან ასი წლის შემდეგ გვარი გადაუკეთონ?

გვარის გადასხვაფერების ინტერესის მქონეთა საინტერესო ჩანაფიქრის გარკვევის ინტერესის ახსნა სოფელ წარასთანაა დაკავშირებული.



ნარა

ძველი, ისტორიული დვალეთის სოფელია ნარა. ცენტრალური კავკასიონის განშტოებებს შორისაა მოქცეული ნარას ქვაბულად წოდებული, სამყაროს ცვლილებებს მოწყვეტილი მკაცრი სამოთხე. თავის მხრივ, ქვაბულის ერთ ღირსშესანიშნავ კუთხეს სოფელი ნარა წარმოადგენს.

ბევრი მკვლევარ-მოგზაური მოუხიბლავს ნარას ქვაბულს და მასში ჩაკარგულ პატარა სოფელს. გონების წარმოსახვით თუ იქნა აღდგენილი, ნარა ცნობილი შატილის ტიპის დასახლებას წარმოადგენდა. ეს იყო დასახლება, სადაც უცხო ადამიანი ვერც სახლებისა და ვერც სართულების ურთიერთმიმართებას ვერ გაარჩევდა. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი ხდებოდა ცალკე კერიებში მაცხოვრებლების მომენტალური შეკავშირება და საერთო თავდაცვის ორგანიზება. საერთო იყო ინტერესები და მოქმედება. ეს კი შეიძლებოდა იმ შემთხვევაში, თუ სოფლის მცხოვრებლები ერთი დიდი ოჯახის, საერთო გვარის წევრები ან სისხლით ნათესავეები იქნებოდნენ. იქ ხშირად არ იყო განსხვავება საკუთარ და სხვის შვილებს შორის.

ამ უკანასკნელი მახასიათებლის აღნიშვნა აუცილებელია, რადგან ადრე დაობლებულ კოსტას ბავშვობა სწორად იქნეს გააზრებული. მამა – ლევან ელიზბარის ძე, როგორც სამხედრო მოსამსახურე, სახლიდან თვეობით იყო წასული და მის პირმშო კოსტას ახლობლები ზრდიდნენ. არა მხოლოდ ზრდიდნენ, არამედ შრომის ფერხულში აბამდნენ და ურთიერთობის რთულ ფილოსოფიას ასწავლიდნენ.



დგაღესო, ნარა, კოსტა ხეობაგურთვოს სახლი



ნარას ქვაბულისა და თავად სოფელ ნარას აღწერა ბევრ მნახველს უცდია, ბევრნაირად შეიძლება გეოგრაფიული მდებარეობის, ფლორის და ფაუნის დანახვა-შეფასება. ამ შემთხვევაში, საინტერესოა ნარაში დაბადებული და ბავშვობაგატარებული კოსტა ხეთაგუროვის თვალსაწიერით წარმოდგენილი რეალობა. იგი წერს: «Нарская котловина, замкнутая высочайшими снеговыми вершинами гор Адай-хох, Зикара, Тепле и их отрогами, оставалось совершенно изолированно от остального мира. Перевалы Мамисонский, Рукский и Зикарский... только в летные месяцы были доступны для переправы!» (Коста Хетагуров, Быт горных Осетин (Этнографический очерк), Сталинир, 1939, стр.4)

ნარას ქვაბული და პატარა სოფელი ნარა კავკასიონის ცენტრალური ნაწილის მარადთოვლიან მწვერვალებს შორისაა მოქცეული. ცად ატყორცნილი მთების განშტოებანი ალყაში აქცევენ ნარას მიდამოებს. ამიტომ უწოდეს მას ქვაბული. მთებს შორის გაფანტული პატარა სოფლები და ხეობები, თავის მხრივ, სოფელ ნარას გარშემო იყვნენ განფენილები და მისი გავლით (თუ მეშვეობით) უკავშირდებოდნენ გარესამყაროს, ისიც მხოლოდ ზაფხულობით. დანარჩენი დროის მანძილზე იგი ცივილიზებულ (შედარებით) სამყაროს მოწყვეტილი იყო.

სოფელ ნარადან, კასრის ხევის გზით [კასრის ხევის წყალს, ქვევით (გეოგრაფიულად კავკასიონის ჩრდილოეთით) ვალაგირის წყალს უწოდებენ, უდრო ქვევით კი არდონის (დონი ოსურად წყალია) სახელითაა ცნობილი]. აქ ყველაზე მოსახერხებელი გადასასვლელი იყო კავკასიონის ჩრდილოეთში. თავად კასრის ხევი ხოხის მთის კლდოვან ჩამონათალთან ვიწროვდება და პრაქტიკულად გაუვალ ჯებირს ქმნის ქვაბულისაკენ მიმავალი მგზავრისათვის. ამიტომ ეწოდებოდა ხოხის მთის ამ ჯებირს კასრის ყელი თუ კარი, ხოლო მის მის მცველ დვალებს ხორხელები.

გეოგრაფიულად და ისტორიულად კასრის კარი ორ: სამხრეთ და ჩრდილოეთ ნაწილებად ყოფდა დვალების ქვეყანას.

ნარას, აღმოსავლეთიდან ზახას ხეობა ესაზღვრება,



სამხრეთიდან – ზროგო, გუნაური, როკი და ზეკარას მთა. დასავლეთიდან მოსაზღვრეა ზრამაგა და ჟღელის ხევი, ჩრდილოეთიდან – მითითებული კასრის კარი და სოფლები: კასარა, ლეთა, ჟღელე, თებე.

კასრის კარიდან იყო კავკასიონის ჩრდილოეთში გადასასვლელი. ამ გზით ხორციელდებოდა ეთნოსებს შორის კავშირი, პირველ რიგში ქართველებისა და დვალეებისა ოსებთან. კარის მნიშვნელობას ვახუშტი ბატონიშვილი ასე აფასებს: „რათა არა ვიდიდნენ თვინიერ მათსა ოვსნი“.

დვალეთისა და დვალეების ტომის პრობლემას ბევრი მკვლევარ-მოგზაური შესწიდებია, მაგრამ სულმნათი ვახუშტი ბატონიშვილივით დეტალურად არავის აღუწერია. მისი თქმით, დვალეთი კავკასიონის შემდეგი ხეობებისაგან შედგებოდა: ზრამაგა, ჟღელე, კასრის ხევი, ზროგო, ზახა და, რაც მთავარია, მათ შორის არსებული და მათგან შემოსაზღვრული ნარას ქვაბული. ეს ხევეები შეადგენდნენ ე. წ. სამხრეთ დვალეთს. კასრის კარის (ყელის) ქვევით, კავკასიონის ჩრდილოეთ კალთებზე, ბარში გარდამავალ სივრცეს, დიდი დვალეთის შემდეგი ხეობები ქმნიდნენ: ჩიმი, თაგაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი და ბასიანი. ეს ხეობები საცალფეხო გადასასვლელი ბილიკებით უკავშირდებოდნენ ნარას ქვაბულს და სოფელ ნარას. უკვე ითქვა, რომ შედარებით ფართე გზა კასრის ხევის წყალს, ვალაგირის წყალს, გნებავთ, დღევანდელი გაგებით, მდინარე არდონის ზემო დინების ხევს მისდევდა. ამ გზას რუსეთის იმპერიაში უკვე ოსეთის სამხედრო გზა უწოდეს.

მოკლე აღწერა-დახასიათება მიაანიშნებს, რომ სოფელი ნარა, არა მხოლოდ ქვაბულის ცენტრს წარმოადგენდა, არამედ მთელი დვალეთის დამაკავშირებელსაც. შესაბამისად, ნარა სხვა სოფლებისგან განირჩეოდა დასახლების სიდიდითაც, სამეურნეო და კულტურული განვითარებულობითაც (თუ რამე მოწინავეობაზე და განვითარებაზე შეიძლება მსჯელობა, მაღალ მთებში გამოკეტილ, სამყაროს თვეობით მოწყვეტილ პატარა სოფელზე).



დვალეთი და დვალეზი

კოსტა ხეთაგუროვი დვალეთის სოფელ ნარადან იყო. დღეს მივიწყებულია დვალეთის გეოგრაფიული არეალის შესახებ ცოდნა და თავად დვალეზის ეთნიკური რაობის საკითხი.

კოსტა ხეთაგუროვი ოსურად მეტყველებდა, ოსური ლიტერატურის ფუძემდებლადაა აღიარებული და ამდენად საინტერესო მისი დვალეთიდან წარმომავლობისა, დვალობას და დვალეზთან ურთიერთობის საკითხი.

ანტიკური პერიოდის წყაროები დვალეზს (უალებს, ტალებს, როგორც ისინი უწოდებდნენ) მთის იბერიულ ტომებს შორის მოიაზრებდნენ. ამ ცნობების თანახმად ქართ (ქართველებს) ტომებს ჩრდილოეთიდან მთის იბერები ემეზობლებოდნენ.

ცნობისათვის: უძველესი პერიოდის იაფეტური მოდგმის ტომებს შორის თუბალებს ეკავათ ტერიტორიები ურმია-ვანის ტბების დასავლეთით ხმელთაშუა და შავ (პონტოს)

ზღვებამდე, ტიგროსისა (იდიგნა) და ევფრატის (ფურათუ) მდინარეების ზემო წელიდან მოყოლებული კავკასიონის მთაგრეხილის ჩათვლით. დროთა ვითარებაში თუბალებს იბერები ეწოდათ. იბერებად ითვლებოდნენ ეგრები, სვანები, ქართვები, ლეკოსელები, კავკასოსეები. კავკასოსეებს (კავკონებს – ბერძნული მითოლოგიის თანახმად) შორის გამორჩეული ადგილი დვალეზს ეკავათ.

ძვ. წ. აღ. მესამე ათასწლეულიდან მოყოლებული, დვალეზი კავკასიონის ჩრდილოეთის მნიშვნელოვან ცენტრალურ ნაწილს ფლობდნენ.



ძვ. წ. VIII-VII საუკუნეთა მოვლენების დროს მათ დიდი მარცხი განიცადეს და იძულებულნი გახდნენ, მთის ხეობებისათვის შეეფარებინათ თავი. მხედველობაშია კიმერიელების, სკვითების და ბოლოს სარმატების შემოსევები კავკასიონის ჩრდილოეთში. განსაკუთრებით საბედისწერო იყო ძვ. წ. აღ. VI-V ს. ს. სარმატების მძლავრობა. სხვა მომხდურთაგან განსხვავებით, სარმატები მომთაბარენი არ იყვნენ. ისინი მკვიდრდებოდნენ დაპყრობილ მხარეში. ისტორიული წყაროების ცნობით, კავკასიონის ჩრდილოეთის ფართე დაბლობის მიდამოებში ფიქსირდებოდა მთის იბერების საზღვარი სარმატებთან.

დამატებითი ცნობა: სარმატები მიიჩნევიან თანამედროვე ოსების უშუალო წინაპრებად.

მრავალი ვერსია არსებობს ოსების წარმომავლობის შესახებ. განსაკუთრებით „მრავალფეროვანი“ გახდა ოსების წინაპრების შემადგენლობა ბოლოხანებში. ყველაზე სარწმუნო მაინც მათი მიდიელებისაგან წარმომავლობა უნდა იყოს მიდიელები – სარმატები (ამის შესახებ ავტორის „დვალეები“).

სარმატები ტომთა ორი დიდი გაერთიანებისაგან შედგებოდნენ – აორსებისა და სირაკებისაგან. აორსების გაერთიანება ემეზობლებოდა დვალებს (მთის იბერებს) მთაგრეხილის ჩრდილოეთ გაშლილ ველებში.

ისტორიული ცნობის თანახმად, ირანულენოვანი მიდიელები, ჩრდილოეთში სარმატებად წოდებულები, მძლავრობის პერიოდში მრავლად იერთებენ იბერიულ მასებს და პრაქტიკულად შერეულმოსახლეობას ქმნიან. ქართ-იბერებისათვის ისინი თავიდანვე ოვსების, შემდეგ ოსების სახელით არიან ცნობილნი.

ძვ. წ. ა. IV საუკუნეში ურარტუს მეფეთა დინასტიის წარმომადგენელი აზონ იარედოსის ძე იპყრობს ქართლს და მძლავრ იბერიის სამეფოს ქმნის. მან შეძლო კავკასიონის ჩრდილოეთით განფენილი დვალეების და დურძუკების (მომავალი ჩეჩენ-ინგუშების) გაერთიანება ქართ-ეგრისის მხარეებთან. მანვე დახარკა ოვსების (ოსების) მხარე. მის შემდეგ იბერიის მეფე ხდება ფარნავაზ მცხეთელი. ამიერიდან, საუკუნეების მანძილზე მთის იბერები უკვე ქართ-იბერიის შემადგენლობაში მოიაზრებიან.




კიდევ ერთი მცირე ცნობა: ფარნავაზ მეფის შემდეგ გამეფდა მისი ძე – საურმაგი. მის დროს განხორციელდა დვალეთში დურძუკთა დიდი ოდენობის ჩასახლება. ამ შერევის შედეგად საბოლოო სახე მიიღო დვალურმა მეტყველებამ. იგი არც ქართული იყო, არც დურძუკული. მით უფრო, მას საერთო არაფერი ჰქონდა ოსურთან.

თავად ოსეთის სამთავრო-სამეფოს მჭიდრო პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობა ჩამოუყალიბდა მძლავრ იბერიის სამეფოსთან. ვითარებაში, როცა თვით რომის იმპერია მეგობრობდა იბერიასთან, ოსეთი მის ბუნებრივ მოკავშირედ გამოდიოდა. განსაკუთრებით მჭიდრო იყო სამეფო-არისტოკრატიული კავშირები. იყო სამხედრო შეჯახების ორიოდ შემთხვევაც, მაგრამ მოკავშირულ-მეგობრულ-მეზობლური ურთიერთობანი შეურყეველი რჩებოდა.

შესაბამისად, დვალეები დაცულები იყვნენ ოსური აგრესიისგან. ამან განაპირობა იმ ხეობათა იბერიული (და არა ქართული) სახელწოდებების სიმტკიცე, რომელნიც დღეს ოსურადაა და ოსეთადაა მიჩნეული. ჩიმი, თავაური, ქურთაული, ვალაგირი, ფაიქომი, დიგორი, ბასიანი. თავად ობიექტური ოსი მკვლევარები მიუთითებდნენ მათ არა ოსურ ბუნებაზე. მართლაც, სამხრეთში ბასიანი და ჩრდილოეთში ბასიანი, სამხრეთში დიდგორი და ჩრდილოეთში დიგორი. ქართულ-იბერიული „ჩემია“, ეგრისულ-იბერიული „ჩქიმი“ და ჩრდილოეთში ჩიმის ხეობა, ჩიმის ციხე (ამჟამად ჩმი-ს ეძახიან). სახელწოდებანი ქართულად გაიგება, მაგრამ ის იბერიულია, გნებავთ, თუბალური და არა ოსური.

დვალეთი დიდ ტერიტორიას მოიცავდა და მრავალრიცხოვანი მოსახლეობისგან შედგებოდა. იბერიის სამეფოს, შემდეგ აფხაზეთად და საქართველოდ წოდებული სამეფოს შემადგენლობაში იგი დიდი ავტონომიით სარგებლობდა. ამიტომ შეძლეს დვალეებმა თავისი ენის, ეთნიკური მეობის შენარჩუნება, თვით ოსური ზეწოლის პირობებშიც კი. რომ არა რუსეთის აგრესია კავკასიელთა წინააღმდეგ, XIX საუკუნეში დვალური მეტყველება არ დაიკარგებოდა.



Имя и Фамилия

3-1-84

локализация

по античным данным



XIII საუკუნეში მონღოლების გამანადგურებელმა შემოსევებმა დაუდეს სათავე დიდ ცვლილებებს:

ოსების დიდი სამეფო მონღოლებმა მოსპეს, ისევე, როგორც მრავალი სხვა.

ცნობილი ოსი შემოქმედი ვლადიმერ აბაევი ასე აღწერს იმ დროის მოვლენებს: «В силу исторических причин, главным образом, вследствие татаро-монгольского нашествия в XIII веке, а также захвата равнинных земель Северного Кавказа более сильной феодальной Кабардой, предки осетин (аланы) были оттеснены к горам, где и заперлись в Алагирском, Дигорском, Тагаурском и Куртатинском ущелиях» (В. Абаев. Коста Хетагуров и его время, Тб., 1961, ст. 9).

ოსების შესახლება დვალეთის ჩრდილოეთი ნაწილის ხეობებში, რეალურად აფხაზ-ქართველთა სამეფოს საზღვრებში იძულებითი და დროებითი მოვლენა იყო. მეფე გიორგი ბრწყინვალის დროს ოსები კვლავ დაუბრუნდნენ ისტორიულ სამშობლოს.

მონღოლების აყრისა და სამშობლოში დაბრუნების შემდეგ მათი ადგილი თათრული წარმოშობის ტომებმა დაიკავეს. ასე დაარსდა ყირიმის, ასტრახანის, ყაზანის, ციმბირის სახანოები. ოსეთის საუკეთესო მამულები ადიღური ყაბარდოს ტომმა დაიკავა. რუსი სახელოვანი ისტორიკოსი ვ. ტატიშჩევი მათაც თათრული წარმომავლობისად მიიჩნევდა. ადიღელებმა ასევე დაიპყრეს ეგრისის (აფხაზეთის) ჩრდილოეთი ნაწილი (ადიღური წარმომავლობის ტომებს ჩერქეზებს უწოდებენ).

თემურ ლენგის მრავალმა შემოსევამ კავკასიელი ეთნოსები გაანადგურა, გადააჯიშა და ურთიერთდაპირისპირების გზაზე დააყენა. მათ შორის ოსებმა დაიპყრეს (უკვე დაიპყრეს) ჩრდილოეთ დვალეთი და მათი სრული ასიმილაცია ან განდევნა შეძლეს.

მაშინდელმა ქართლის სამეფომ სხვა ვერაფერი მოახერხა, გარდა კასრის კარის ჩაკეტვისა, რათა შეეკავებინათ ოსების თავისუფალი შეღწევა სამხრეთ დვალეთში, მათ შორის წარას ქვაბულის დვალურ სოფლებში.



ამ ისტორიულ ცვლილებებს ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს: „ხოლო შემდგომად მოოხრებისა ოსეთისა და შემოსვლისა მათისა კავკასიას შინა, იწოდნენ: ოსეთი ჩერქეზად ანუ ყაზარდად და კავკასიასა შინა მყოფნი, მათ შემოსულთაგან ოსეთად“ (ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973, გვ.634.).

დვალეთი გაყოფილ იქნა ორი ეთნოსის – ოსებისა და ქართველების მიერ. ჩრდილოეთი და საუკეთესო ნაწილი, ფართე, ვაკეში გარდამავალი ხეობები ჩიმისა, თაგაურისა, ქურთაულისა, ვალაგირისა, დიგორისა ოსების ხელში მოხვდა და იქ დვალური მეტყველება გაქრა. ბასიანის მხარეში კი ალან-ყივჩალების ჩასახლების შემდეგ ყარაჩაელი ეთნოსი ჩამოყალიბდა. დვალეები კასრის ხევს, ზრამაგას, ჟღელეს, ნარას, ზროგოს და ზახას ხეობებს მიეძალნენ ან გაიფანტნენ ქართლ-კახეთის სამეფოსა და იმერეთის სამეფოს ჩრდილოეთ რაიონებში.

XVIII საუკუნის ბოლომდე დვალეები საკუთარ ენას და მეობას ინარჩუნებდნენ, თუმცა ოსური მეტყველება გზას იოლად იკავავდა. ამ პროცესს განსაკუთრებით შეუწყო ხელი ქართლ-კახეთის მეფეთა მიერ არაგვისა და ქსნის საერისთაოების გაუქმებამ. საუკუნის მეორე ნახევარში საერისთაოების, მეფე ერეკლე II მიერ შვილებისთვის საგამგებლოდ გადაცემამ, საბოლოოდ მოშალა დვალეთში არსებული ურთიერთობანი.

1774 წელს რუსეთის იმპერიამ ოსეთთან ერთად დვალეთის ჩრდილოეთის ხეობები დაისაკუთრა. ალაგირის, ქურთათის, თაგაურის ხეობები და მოსახლეობა იმპერიის ფარგლებში მოექცა.

1801 წელს რუსეთმა დაიწყო ქართლ-კახეთის და შემდეგ იმერეთის სამეფოების დაპყრობა. რუსული ხელისუფლების დამყარებას დიდი და ყოველმხრივი ცვლილებები მოჰყვა. მათ შორის ეთნიკურ-დემოგრაფიული მიმართულებით. გაძლიერდა ისტორიული სამშობლოდან გამოდევნისა და საქართველოში გადმოსახლების პროცესი. ოსების რაოდენობა 29,5 ათასიდან (ვინც თავს ოსად მიიჩნევდა, მათ შორის დვალი, ქართველი და სხვა) 165 ათასამდე გაიზარდა.



რიგ ოს მოაზროვნეებს ეს ცვლილება პროგრესულ მოვლენად აქვს აღქმული. მხოლოდ მცირე ამონარიდი. ს. გაბარაევი რუსეთთან მიერთების „პროგრესულობას“ ხედავს იმაში, რომ «... осетины получили возможность переселиться из горных тущов на равнину и пользоваться плодородными землями». ვ. აბაევი მიუთითებს: «... чрезмерная перенаселённость Осетин несколько разрядилась с уходом части жителей на южную сторону Главного Кавказского хребта, где на территории Грузии образовалась Южная Осетия».

გადმოსახლების პროცესში ოსებმა მთლიანი დვალეთი დაიკავეს და გააოსეს. დღეს დვალური ენა დაკარგულია, დვალები გაფანტულნი ან გაოსებულნი არიან.

ნარას ქვაბული და სოფელი ნარა თავიდანვე მოექცა რუსული პოლიტიკის თვალსაწიერში. ე. წ. ოსეთის სამხედრო გზა, კასრის ხევის ანუ ვალაგირის წყლის ხეობას მიუყვებოდა, სოფელ ნარას აქცევდა თავის ორბიტაში და როქის გადმოსავალით დიდი ღიახვის ხეობაში ჩამოდიოდა (ცნობილი მეცნიერი დ. გვრიტიშვილი აღწერს რამდენიმე გზას, რომლითაც ოსებს შეეძლოთ დვალეთის გავლით ქართლში შემოსვლა. დ. გვრიტიშვილი, „დვალთა ვინაობასა და ოსთა ჩამოსახლების საკითხისათვის“.).

ცხადია, კავკასიის სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის სამხედრო და ეკონომიკური მნიშვნელობის გზის დაარსება ხელშეუხებელს ნარას მცხოვრებლებსაც ვერ დატოვებდა.



ხეთაბური – ხეთაბუროვი

დვალეთის ტერიტორიაზე მოსახლეობა თემებად ცხოვრობდა ცალკეულ ხეობებში მიმოფანტული. ცალკე სოფელს, როგორც წესი, ერთი გვარის ან სისხლით ახლობლები ქმნიდნენ.


საჭირო არაა რამე სპეციალური კვლევა-ანალიზის წარმოება. სულმნათი კოსტა სრულიად გასაგებად და მისაღებად აღწერს დვალეების, უფრო ზუსტად, გაოსებული დვალეების ოჯახურ და საზოგადოებრივ საქმიანობას. მხოლოდ ერთია: კოსტა მათ ოსებს უწოდებს. შეიძლება, ასე სწამდა, შეიძლება, სამეცნიერო რეალობიდან გამომდინარე, არც ფიქრობდა ეროვნულობის პრობლემებზე. მთავარია, თავს ოსურენოვნად მიიჩნევდა და ირგვლივ მყოფებსაც ასეთებად თვლიდა.

კოსტა ხეთაგუროვის ოსურენოვნების ეჭვქვეშ დაყენების გარეშე, საჭიროა ერთი, ისტორიისათვის დაუდგენელი საკითხის დასმა. რაც მთავარია, ამ საკითხს თავად ეხება, როდესაც თავის წარმომავლობას აღწერს.

კოსტას თქმით, მისი გვარი წარმოებულია თავადის შვილ ხეთაგიდან. ხეთაგი იყო თავად ინალის უმცროსი ვაჟი.

თავადი ინალი მდინარე ყუბანის იქით მხარეს, მდინარე დიდი ზელენჩუკის მიდამოებში სახლობდა. ვინ იყო თავადი ინალი?

ისტორიისათვის ცნობილია ერთად ერთი თავადი ინალი. იგი ადიღეების წინამძღოლს წარმოადგენდა, როდესაც ყირიმელი თათრების ჩამომავალ აბაზას ტომის თავადებს – აშეს და შაშეს დაეხმარა, აჯანყებული ოზდემირის წინააღმდეგ





ბრძოლაში.

გადმოცემის თანახმად, ინალიმ, ადილთა ჯარის მეთაურმა, ოზდემირს სდია აფხაზეთამდე. ადილების გმირი წინამძღოლი ინალი მდინარე ბზიფის მიდამოებში გარდაიცვალა და იქვე დაკრძალეს.

ასევე, ისტორიული ფაქტია, რომ, როცა აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა საგვარეულომ მოინდომა და სამთავრო სამ ნაწილად გაყო, მურზაყან შარვაშიძეს მიეკუთვნა სამეგრელო-საგან წართმეული მამულები. მურზაყანმა ახალ სამფლობელოში თავად-აზნაურები წაიყვანა და ჩაასახლა. მათ შორის იყო თავადი ინალიშვილი. შარვაშიძეთა სახლობის გაყოფა XVII საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა.

ამ თავად ინალიშვილების ჩამომავალია აფხაზეთის გამორჩეული მკვლევარი შალვა ინალ-იფა (ბატონმა შალვამ, საბჭოთა პოლიტიკით შეწუხებულმა, დამალა თავისი თავადური წარმომავლობა და ინალიშვილი ინალ-იფად გადააკეთა).

არც ისე ცნობილი და გავრცელებული გვარ-სახელია ინალი და ინალიშვილი, რომ დაინტერესებულმა მკვლევარმა მისი რაობა ვერ გამოიკვლიოს. კლიო ხომ ისტორიის მუზაა, ბერძნულ-პელაზგიური მითოლოგიის თანახმად.

ადილელების გმირი თავადი ინალი მდინარე ყუბანის მხარედან ლაშქრობდა აფხაზეთში. მისი ჩამომავალი უნდა ყოფილიყო ბატონი შალვა ინალ-იფა? შეიძლება პირიქით, ინალიშვილების ჩამომავალი ყოფილიყო ადილების თავადი? – გასარკვევია.

კოსტა ხეთაგუროვის წინაპარი ხეთაგი მდინარე ყუბანის იქითა მხარეში ცხოვრობდა, როგორც თავად ინალის უმცროსი ძე.

შეიძლებოდა, თავადი ინალი ყოფილიყო ეთნოსის აღიარებული ლეგენდარული გმირი?

სულმნათ გალაკტიონს აქვს შესანიშნავი ფრაზა: „დრო, დრო აღნიშნე“.

ვცადოთ, დრო დავადგინოთ.

ადილური გადმოცემა დროს არ აღნიშნავს. ფიქრობენ, რომ



მეთხოვემეტე საუკუნე უნდა იყოს. ეს თარიღი მცდარია, რადგან იმ დროს ადილები ჯერ კიდევ მდინარე დონის აზოვის ზღვის შესართავში მომთაბარეობდნენ. თურქებმა და ყირიმელმა თათრებმა XVII საუკუნის ბოლოს წაგლიჯეს ადილებს ის მხარე და აიძულეს მდ. ყუბანის ჩრდილოეთით ჩასახლებულიყვნენ. ცნობილია, რომ 1526 წელს ადილები აფხაზებთან ერთად, დადიანის სარდლობით, ებრძვიან და ამარცხებენ ყირიმელ თათრებს (იმ დროს აფხაზეთი და სამეგრელო ერთ – ოდიშის სამთავროს შეადგენდა).

სავარაუდოდ, XVI საუკუნის მეორე ნახევარში უნდა გამოჩენილიყვნენ ადილები აფხაზეთის მახლობლად. ინალის კი უფრო გვიან XVII საუკუნეში უნდა ელაშქრა ოზდემირის წინააღმდეგ.


საინტერესოა ადილების სახელოვანი გმირი ინალი შეიძლება ყოფილიყო ხეთაგის მამა თუ არა?

კოსტა ხეთაგუროვი თავის გენეალოგიას ასე აღწერს: მდინარე ყუბანის ჩრდილოეთით მომთაბარე თავად ინალს სამი ვაჟი ჰყავდა. უმცროსმა – ხეთაგმა მიიღო ქრისტიანობა და რელიგიურ ნიადაგზე, შურისძიების შიშით, ოსეთისაკენ გაიქცა. ოსები, როგორც წესი დიდი ხნის ქრისტიანები იყვნენ. ვარაუდით, ეს XVII საუკუნის ბოლოს მოხდებოდა.

ქურთაულის ხეობის გზით, ხეთაგი წარას ხეობას აღწევს და სოფელ წარაში ეფუძნება მისი შთამომავლობა გვარის დამაარსებლის სახელის მიხედვით ხეთაგ-ურები ხდებიან.

ხეთაგურების მეცხრე თაობის წარმომადგენელმა ლევან ელიზბარის ძემ რუსულ სამხედრო სამსახურში მიიღო ხეთაგუროვის გვარი. უფრო ზუსტად, რუსული წესის მიხედვით, გვარის დაბოლოება „ოვ“-ზე დაიწერა.

კოსტა ხეთაგუროვი აღწერს რა დვალების ცხოვრების თავისებურებებს, ამბობს, რომ იქ ოჯახის შექმნა ადრეულ ასაკში ხდებოდა. თაობათა შორის ასაკობრივი სხვაობა დაახლოებით 20 წელი იყო. მის დაბადებამდე – 1859 წლის 15 ოქტომბრამდე, ცხრა თაობას ეცხოვრა ხეთაგიდან მოყოლებული. გამოდის, რომ დაახლოებით 180 წლის წინ მოხდებოდა ხეთაგის გადმოხვეწა ყუბანისპირეთიდან. ეს XVII საუკუნის მეორე ნახევარია. შეიძლე-





ბა დაშვება, თუ არა, რომ ხეთაგის მამა ინალი და ადილთა გმირი ბელადი, თავადი ინალი ერთი და იგივე პიროვნება ყოფილიყო?

ისტორიულად ისიც ცნობილია, რომ წარაში მცხოვრები ხეთაგურ-ხეთაგუროვები ამტკიცებდნენ თავისი თავადურ ჩამომავლობას. ისინი თავს დვალებად მიიჩნევდნენ და ქართლის მეფეს ემორჩილებოდნენ.

საკითხი განსჯისთვის ღიაა.

კოსტა ხეთაგუროვის მონათხრობი ხეთაგური – ხეთაგუროვების შესახებ თუ ისტორიულ სიმართლეს შეიცავს, გამოდის, რომ იგი წარმოშობით ადილე ან ქართველი ყოფილა. ამავე დროს, მისი წინაპრების სახელების უმეტესობა ქრისტიანულია. ხეთაგის ძე იყო გიორგი, გიორგის ჰყავდა ძე მამი (ეტიყობა სახელი მამია ასე შეიკვეცა წარას ხეობაში). მამის ძე იყო გოცი (გოჩა?), შემდეგ მოდიოდა ზიდა თუ სიდა, მას შემდეგ ამრანი (ალბათ, ამირანი). მას მოსდევდა ასსა და შემდეგ ელიზბარი. ელიზბარის ძე იყო ლევანი, კოსტას (კონსტანტინეს) მამა.

ლევან ელიზბარის ძემ ადრე დაიწყო სამსახური რუსულ ჯარში, რუსულადვე გადაკეთდა მისი გვარი.

რამდენად დადასტურებულია კოსტას მონათხრობის ისტორიულად წინაპრების შესახებ, ძნელი სათქმელია. როცა არ არსებობს წერილობითი საბუთები და ყოველივე ზეპირმეტყველებას ეფუძნება, ცდომილების ალბათობა მატულობს. არც ის უნდა იქნეს მხედველობიდან გაშვებული, რომ წარსულის განდიდება, წინაპრების რაღაცა თუ ვიღაცა გამორჩეულთან დაკავშირება, საკმაოდ გავრცელებული მოვლენა იყო. წარსულს რომ თავი დავანებოთ, დღესაც ხშირია, როცა წინაპრებით ამაცობენ და მათ ვინმე დიდებულს უკავშირებენ. გლეხი – აზნაურს, აზნაური – თავადს, თავადი – მეფეს, მეფე კი – ღმერთს ან ღვთიურ არსებას. იყო დრო როდესაც ასეთი განდიდებაც არ აკმაყოფილებდათ და ღმერთად საკუთარ პერსონას აცხადებდნენ.

ნათქვამი სიცხადის დადგენას ემსახურება და არა კოსტას მონათხრობში ეჭვის შეტანას. წინაპრების თავად ინალთან დაკავშირება კოსტა ხეთაგუროვს ვერაფერს მატებს და ვერც აკლებს.



კოსტა ხეთაგუროვი

კონსტანტინე ლევანის ძე ხეთაგუროვი იყო ლევან ელიზბარის ძე ხეთაგუროვის საყვარელი პირმშო.

ლევანი ადრე ჩაება სამხედრო სამსახურში. რუსულ ჯარში პრაპორშჩიკის ჩინით მსახურობდა. მძიმე ჭრილობის მიღების შემდეგ გადაიყვანეს თერგის პოლიციის მეორე ასმეთაურის მოადგილედ, სადაც დარჩა ცხოვრების ბოლომდე – 1892 წლამდე.


ლევანის მეუღლე კოსტას დაბადებიდან მალე გარდაიცვალა და შვილს ჯერ ახლობლების, შემდეგ კი, 1865 წლიდან, მეორე მეუღლის დახმარებით ზრდიდა.

მცირეწლოვანმა კოსტამ ნარაში გამოსცადა სოფლის ცხოვრების სიმძიმე. ვინც ასეთი სიმძიმის სიმწარე იცის, მიხვდება, რას ნიშნავს ნახევრად შიშველი და ხშირად მშიერი მოზარდისთვის საქონლის მწყემსვა.

11 წლის იყო კოსტა, როდესაც მამამ ვლადიკავკაზში წაიყვანა და სამთო სკოლაში მიაბარა სწავლა-განათლების მისაღებად.

ლევანი კარგი მამა და დიდსულოვანი პიროვნება ყოფილა. გაჭირვებულ გლეხებთან ერთად მოახერხა და ყუბანის ოლქში ახალი დასახლება, სოფელი გიორგიევსკო-ოსეტინსკოე დააფუძნა, იქ გადასახლდა და შვილიც თან წაიყვანა. დაფრთიანებული კოსტა 1873 წელს სტავროპოლის გიმნაზიაში იწყებს სწავლას და 1881 წელს ამთავრებს.

გიმნაზიაში სწავლის დროს გაიღვიძა მასში შემოქმედებ-



კასტა ხეობა ურივი, ზეკარას უღელტეხილი



ითმა ნიჭმა: იგი ლიტერატურული და ფერწერული ხაზით ინტერესდება.

რამდენადაც ოსური დამწერლობა და ლიტერატურა არ არსებობდა (უფრო სწორედ, ილვიძებდა), იგი, ძირითადად, რუსული მწერლობის გაცნობით კმაყოფილდებოდა. შეიძლება ითქვას, რომ პირადი ცხოვრების სიმძიმეები, გარემო და რუსული დემოკრატიული ხასიათის ლიტერატურა აყალიბებდნენ მის მსოფლმხედველობას. მკვლევარები ამიტომ მიუთითებენ მისი შემოქმედების რევოლუციურ-დემოკრატიულ ხასიათზე.

თქმა, რომ კოსტა პირველი შემოქმედია, რომელიც ოსურ ლიტერატურას ქმნის, მთლად მართებული არაა. ჯერ ერთი, ცნობილია, რომ XVIII საუკუნის ბოლოს ჩრდილოეთ კავკასიაში მოღვაწე ეპისკოპოსმა გაიოზ ბარათაშვილმა, სლავური დამწერლობის გამოყენებით შეადგინა პირველი ოსური ანბანი. რაც მთავარია, ივანე იალღუჯის ძემ ქართულ ენაზე დაწერა პოემა „ალღუჯიანი“. იყო XIX საუკუნის დასაწყისი. მართალია, პოემა ქართულადაა დაწერილი, მაგრამ ავტორი თავს ოსად მიიჩნევდა და მისი შემოქმედებაც ოსურ ლიტერატურას მიენერება.

ამ ვითარებასთან კავშირში სპეციალისტებს შორის იყო აზრით სხვადასხვაობა. თუ ივანე იალღუჯის ძე არ ჩაითვლება ოსური ლიტერატურის ფუძემდებლად, რატომ ჩავთვალოთ ასეთად კოსტა ხეთაგუროვი, რომელიც, ძირითადად, რუსულად წერდა?... არის ლოგიკა?

გიმნაზიაში სწავლის დროს, როგორც ამბობენ, დირექტორმა ი. მ. ნევეროვმა მოახდინა სასიკეთო გავლენა.

საერთოდაც, კოსტას შემოქმედების წყაროდ რუსულ პროგრესულ ლიტერატურას მიიჩნევდნენ ოსურ, ჩერქეზულ, ჩეჩნურ და ქართულ ზეპირშემოქმედებასთან ერთად. სამწუხაროა, რომ არაფერს ამბობენ დვალურ ზეპირსიტყვიერებაზე.

დვალური ოსურადაა მიჩნეული.

კოსტა ხეთაგუროვი ოსურ ლიტერატურასთან ერთად, ოსური ფერწერული ხელოვნების ფუძემდებლადაც ითვლება.



ამ ხაზით სწავლობდა იგი გიმნაზიის დამთავრების შემდეგ. გიმნაზიაში მიიპყრო მან პედაგოგის ყურადღება და მისი რეკომენდაციით ჩაირიცხა პეტერბურგის აკადემიაში.

1882 წელს კოსტა პეტერბურგში დაუახლოვდა სოფია ვლასის ასულ თარხანოვას ოჯახს. გადმოცემით ცნობილია, რომ ამ ოჯახში თავს იყრიდნენ კავკასიელი ახალგაზრდები, მათ შორის ძმები ჯავახიშვილები (ჯავახიშვილები), ანდრონიკაშვილი (ანდრონიკოვი) და სხვა. ოჯახს სტუმრობდა ცნობილი გეოგრაფი მიკლუხო-მაკლავი. მათთან ურთიერთობა სასიკეთო გავლენას ახდენდა ახალგაზრდა შემოქმედის მსოფლმხედველობაზე.


ისიც ცნობილია, რომ 1885 წელს, კავკასიაში, კერძოდ ვლადიკავკაზში დაბრუნების შემდეგ, კოსტა ფერწერით იყო დაკავებული. მისი პირველი ცნობილი (როგორც მხატვრის) ნამუშევარი მიეძღვნა ქართველთა ქრისტიანულად განმანათლებელ წმინდა ნინოს. შემთხვევითია?

საერთოდ, კოსტა მჭიდროდ იყო დაკავშირებული ქართველობასთან. თავის მხრივ, ქართველი საზოგადო მოღვაწენი არა მხოლოდ პირადი მეგობრობის გამო, ცდილობდნენ ხელი შეეწყოთ ოსური კულტურის განვითარებისთვის. დანიელ ჭონქაძე, მიხეილ ყიფიანი, იაკობ გოგებაშვილი და ა. შ. მუდამ მხარში ედგნენ კოსტას და, საერთოდ, ოს მოღვაწეებს. რუსული პოლიტიკა ორივე ეთნოსს ამყოფებდა მარნუხებში და ჩაგრულებიც ცდილობდნენ მათ ბედში მყოფთა გამხსნევებას.

კოსტა ხეთაგუროვის როლი ოსური კულტურის განვითარებაში არა ერთხელ ყოფილა ფართო განსჯის საგანი. ამ მხრივ, ოსური ენის უცოდინარი მხოლოდ სხვათა აზრებს გაიმეორებს. ამიტომ მისი შემოქმედების ღირებულებითი შეფასება სპეციალისტების სფეროა.

აქ მხოლოდ ერთი პატარა ამონარიდი, თანაც ნათარგმნი, საკმარისია, რათა წამკითხველი ჩახვდეს სიდიადეს: შემოქმედი ასე მიმართავს ხელისუფალთ:

„ერთ თქვენგანს შეესმას სამშობლოს ჩივილი,
გულის სევდა ხალხისა ერთს მაინც ჩასწვდეს;



კოსტა ხეთაგურთი, მჭმუნგარე ანგელოზი



წამიერ ათროლდეს სახალხო ტკივილით
და ცრემლის წვეთები თვალთაგან დასცდეს“.

საუკუნეზე მეტი ხნის წინ პოეტის ეს ნათქვამი რით არაა თანამედროვეობის გამოძახილი? თანამედროვე ხელისუფალთა შეფასება?

კოსტა ხეთაგუროვმა, როგორც ფიზიკურად მშრომელმა და იდეურმა შემოქმედმა, ასახა საერთო ადამიანური განცდები. ალბათ, ამიტომაა მისი ნაფიქრ-ნაწერი მშრომელების სიღუხ-ჭირის გამომხატველი.

ითქვა, რომ ინტერესის საგანი კოსტა ხეთაგუროვის პიროვნება იყო, ხოლო შემოქმედების შეფასება ლიტერატორთა სფეროს განეკუთვნება. ისიც აღინიშნა, რომ ოსურენოვნებაში ეჭვის შეტანის გარეშე იქნებოდა მასზე, როგორც პიროვნებაზე საუბარი.

ამის აუცილებლობა კი, XX საუკუნის ბოლოს, რუსი იმპე-რიალისტების მიერ გაბრიყვებული, უგუნური ოსი ცალკეული ნაციონალისტის მცდელობამ გამოიწვია: კოსტა ხეთაგუროვის ნაცვლად, კოსტა ხეთაგათი დაემკვიდრებინათ.

რას აძლევს ასეთი მოდერნიზაცია ოს ნაციონალისტებს?
და ვინ არიან ეს ოსი „პატრიოტები“?

მოდერნიზაციის მიმდევრები, როგორც წესი, გაოსებული დვალეები არიან. ისინი მიიჩნევენ, რომ რაკი იმპერიის ხელშეწყობით მოახერხეს დვალური ენის შეცვლა ოსურით, ყველანი ოსები გახდნენ. ბოლშევიკების ბელადი ვ. ლენინი ამბობდა: გარუხებული უცხოტომელი რუსზე მეტი რუსი შოვინისტიანო. გაოსებული დვალთა ოსზე მეტი ოსი ნაციონალ-პატრიოტი.

ოსურ ნაციონალიზმში ალან ჩოჩიევს, წარმომავლობით ქართველს, ვერავინ გაუტოლდება. რამდენია მისი მიმბაძველი? რამდენიც ამ გზით ცდილობს ადგილის დამკვიდრებას მზის ქვეშეთში. მათი აზრით, თუ ხეთაგუროვის ნაცვლად დამკვი-დრდება ხეთაგათი, ამით კოსტას ოსობა უფრო დასაბუთებული და სახელოვანი გახდება. საცოდავები!

განგებ გვერდი აქვს ავლილი კოსტა ხეთაგუროვის მეზო-



ბელ-ნათესავთა სახელებს: თედო, საბა, ზურაბი (ჯიხვებზე ნადირობა). რა ძირძველი ოსურია? ეგებ კოსტას უახლოესი ნათესავი ანდუყაფარია – ოსობაზე მიმანიშნებელი?

ხომ არ ჯობია, თავად კოსტა ხეთაგუროვს დავუჯეროთ და ვაღიაროთ, რომ თუ თავს ოსად თვლიდა, სინამდვილეში ნაციონალურ-პატრიოტიზმზე მაღლა იდგა, როცა ამბობდა:

„ქვეყანა ტაძრად, სიყვარული კი სალოცავად
მაქვს და მსოფლიო – სამშობლოა, სამშობლო ჩემი“.

სარჩევი

კოსტა.....	3
ნარა.....	9
დვალეთი და დვალეზი.....	13
ხეთაგური – ხეთაგუროვი.....	21
კოსტა ხეთაგუროვი.....	27